1154/3-125/22 2 11022022

1154/3-125/22
11-02-2022

თბილისის საქალაქო სასამართლოს

მოგესალმებით,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია :

- 2020 წლის 25 დეკემბრიდან დღემდე სისხლის სამართლის კოდექსის 236 -ე მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა) ბრალდებულის რამდენ საქმეში იყო წარმოდგენილი მტკიცებულების სახით პოლიციის მიერ გადაღებული ვიდეო მასალა.
- 2020 წლის 25 დეკემბრიდან სულ რამდენი საქმეა სასამართლოში ამ მუხლით განხილული.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
იაგო ხვიჩია

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

თბილისის საქალაქო სასამართლო

N3672 15 თებერვალი 2022 წელი

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ იაგო ხვიჩიას
მის.: თბილისი, რუსთაველის გამზ. N8

ბატონო იაგო,

თქვენი 11/02/2022, №1154/3-125/22 მომართვის (რეგ.№3672) პასუხად, ჩვენ ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გაცნობებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2020 წლის 25 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (დამოუკიდებლად ან სხვა მუხლებთან ერთობლიობით), განხილულია 157 საქმე, ხოლო რაც შეეხება ინფორმაციას, განხილულ საქმეთაგან თუ რამდენ საქმეში იყო წარმოდგენილი მტკიცებულებების სახით პოლიციის მიერ გადაღებული ვიდეომასალა გაცნობებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს შესაბამისი სამსახური თქვენ მიერ მითითებული ნიშნით მონაცემების ცალკე აღრიცხვას და დამუშავებას არ ახორციელებს, შესაბამისად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ მოთხოვნილი ინფორმაცია.

პატივისცემით,

მანანა კოჭლამაზაშვილი

ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის
განზოგადებისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეPARტამენტი
შემოს. N 1-2378/22
-28- 02 2022 წ. ფურს. 1

საქართველო, ქ. თბილისი 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64 ტელეფონი/ფაქსი: (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
Georgia, Tbilisi 0131, David Aghmashenebeli Ave. .N64 Tel/Fax: (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
www.tcc.court.ge